ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 აპრილის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილ

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ „ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 აპრილის სხდომის

ოქმი N 7

დაბა ხარაგაული

2020 წლის 06 აპრილი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას დარბაზში ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, დავით კიკნაძე, მალხაზ ფხალაძე, ეკატერინე შველიძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე სულ საკრებულოს 7 წევრი,

საკრებულოს სხდომაში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით დისტანციურ რეჟიმში ჩართული იყვნენ: პაატა გოგოლაძე, გივი თხელიძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, აკაკი მაჭავარიანი, ,ინგა მაღრაძე, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე სულ 15 წევრი ორივე შემთხვევაში საკრებულოს სხდომაში მონაწილეობდა 22 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

არ ესწრებოდნენ

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის განცხადება, რომლითაც მან მიმართა საკრებულოს წევრებს, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, ახალი კორონა ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მიმდინარე წლის 06 აპრილს ჩავატაროთ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით როგორც ვხედავთ საკრებულოს წევრთა ნაწილი იმყოფება სხდომის დარბაზში, მაგრამ აქაც დაცულია სოციალური დისტანცია, ვცდილობთ დავემორჩილოთ კანონს და დავიცვათ რეკომენდაციები.

მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4..ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ,, ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრ 22

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძისს ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

გივი თხელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილეს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე და მხარს უჭერენ ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცებას,

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა , რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გადასახადებჭში არის არასახარბიელო მდგომარეობა, ჩვენ ისე დავამთავრეთ გასული წელი , რომ აუთვისებელი დაგვრჩა 4 მლნ ნაშთი, მაჟორიტარმა დეპუტატებმა გამოთქვეს უკმაყოფილება ინფრასტრუქტურების კუთხით, გარკვეული ღონისძიებები გაკეთდა, თუმცა ეს არ არის საკმარისი, საბოლოოდ ჩვენ მხარი დაუჭირეთ ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა და უფრო მეტი მობილიზებაა საჭირო, ბიუჯეტის დამტკიცებას მხარს დაუჭერთ

თ ავალიშვილმა აღნიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შემოსავლები კიდევ უფრო დაიკლებს და ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდებით

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 22 წევრი

მომხრე 21

წინააღმდე 1

თავი შეიკავა

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განვიხილეთ საკითხი, მხარი დაუჭირეთ საბიუჯეტო ცვლილებას,მაგრამ მიგვაჩნია 12000 ლარი არის დახმარებისათვის არ არის საკმარისი და კიდევ უნდა დაემატოს .

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს დაზარალებულმა თანხა უნდა მიიღოს, მაგრამ საკრებულო უნდა დაინტერესდეს გადაწყვეტილების მიმღებით, პასუხი ვინმემ უნდა აგოს.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ 12000 ლარის გადახდას კი არა რატომ არ ექცევა ყურადღება სისხლის სამართლის საქმეს, როდესაც ხელით არიან შეხებული მერის წარმომადგენელს, მიმაჩნია, რომ ახლა მანქანის შეკეთების დრო არ არის და მაგ 800 ლარით მივეხმაროთ გაჭირვებულებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 22 წევრი

მომხრე 21

წინააღმდე 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგინილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ, ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ინგა მაღრაძემ და ვარლამ ჭიპაშვილმა, რომლებმაც საკითხის გადადება მოითხოვეს იმის გამო, რომ ვერ გაეცვნენ დოკუმენტს და საკითხი არ განხილულა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე.

საკითხის შემომტანის განმარტების მიუხედავად, რომ გეგმა 1 მაისამდე უნდა იქნეს დამტკიცებული საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით საკითხი მოიხსნა განხილვიდან.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ, ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვარლამ ჭიპაშვილმა, რომელმაც იკითხა დადგენილების პროექტს თუ ახლდა იურისტების დასკვნა

მ. ბარბაქაძემ -სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ დოკუმენტს ტან ახლავს საკრებულოს აპარატის იურისტის დასკვნა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდე 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგინილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ „ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ, რომელიც დაინტერესდა, წარმომადგენლები მის რა ვადით ინიშნებიან

კ. გოლუბიანმა, უპასუხა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით პირები ინიშნებიან მერის უფლებამოსილების ვადით

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა

საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობდა 22 წევრი
მომხრე 22
წინააღმდე 0
საკრებულომ გადაწყვიტა: დადგინილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა გარგაქაძე